გაეროს უშიშროების საბჭოს **1077 (1996) რეზოლუცია**

1996 წლის 22 ოქტომბერი

ეყრდნობა რა თავის 1994 წლის 21 ივლისის 937 (1994), 1996 წლის 12 იანვრის 1036 (1996) და 1996 წლის 12 ივლისის 1065 (1996) რეზოლუციებს,

განიხილა რა გენერალური მდივნის1996 წლს 1 ივლისისა (S/1996507 და ADD. 1) და 1996 წლის 9 აგვისტოს (S/1996/644) რეზოლუციები,

კვლავ ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საყოველთაოდ აღიარებულ ფარგლებში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1996 წლის 1 ივნისის მოხსენებას, კერძოდ, ამ მოხსენების მე-18 პუნქტს და ადგენს, რომ განყოფილება, რომელზეც ლაპარაკია ამ მოხსენებაში, შევა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის შემადგენლობაში ამ მისიის მეთაურის ხელმძღვანელობით იმ პროცედურების შესაბამისად, რომელიც გადმოცემულია გენერალური მდივნის 1996 წლის 9 აგვისტოს მოხსენების მე-7 პუნქტში;

2. სთხოვს გენერალურ მდივანს, გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან იმ პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, რომელზეც ლაპარაკია გენერალური მდივნის ზემოხსენებულ მოხსენებებში და გამართოს მჭიდრო კონსულტაციები მისი განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით;

3. სთხოვს გენერალურ მდივანს, კვლავ გააგრძელოს აუცილებელი ღონისძიებების მიღება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან შემდგომი თანამშრომლობის ფარგლებში.

www.unomig.org